

მაგისტრატურაში მისაღები სამართლის სპეციალობის გამოცდა

კერძო სამართლის მიმართულებით სპეციალობის გამოცდა

ტესტის ნიმუში და პასუხები

იურიდიულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2022

სამართლის სპეციალობის გამოცდის ფორმა: *წერილობითი/ტესტირება*
გამოცდის ფორმატი: *პირისპირ*
ტესტის სტრუქტურა: *ტესტი შედგენა 50 დახურული ტიპის კითხვისგან;*
ქულების განაწილება და მინიმალური ზღვარი: *თითოეული შეკითხვის მაქსიმალური შეფასება - 2 ქულა; ტესტის მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, რომლიდანაც კანდიდატმა გამოცდის ჩასაბარებლად უნდა დააგროვოს 50 ქულა;*

გაითვალისწინეთ!
მაგისტრანტობის კანდიდატს სპეციალობის წერითი გამოცდა ჩაუტარდება იმ მიმართულებით, რომელ ერთ-ერთ მიმართულებასაც აირჩევს (სისხლი, კერძო, ან საჯარო) სარეგისტრაციო განაცხადის შევსებისას;

A) ქვემოთ მაგალითისთვის/წიმუშის სახით წარმოდგენილია რამდენიმე დავალება და სწორი პასუხები კერძო სამართლის მიმართულებით:

1. რწმუნებულს მარწმუნებლის მითითებით დავალებული მოქმედების შესრულებისას მიადგა ზიანი, რაც გამოწვეული იყო ამ მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხესთან. დაეკისრება თუ არა მარწმუნებელს ზიანის ანაზღაურება?

ა. არა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა არ დგება.
ბ. არა, რადგან მარწმუნებელი პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებელი მოქმედებით დამდგარი ზაინისათვის.
გ. დიახ, რადგან მარწმუნებელი მოვალეა აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, თუ ზიანი დადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მისი მითითების გამო.
დ. დიახ, რადგან მარწმუნებელი მოვალეა აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მარწმუნებლის მითითება მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. კრედიტორმა ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შეატყობინა, რომ ვალდებულებას წყვეტს ვალის პატიებით. სხვა რაიმე დათქმას ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით მეორე სოლიდარულ მოვალეს მოსთხოვა ვალის გადახდა გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.
კანონიერია თუ არა კრედიტორის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისადმი არ ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებს.
ბ. დიახ, რადგან ვალის პატიება სანოტარო წესით დამოწმებული არ ყოფილა.
გ. არა, რადგან კრედიტორს უფლება აქვს გამოიყენოს მოთხოვნა ყველა მოვალის მიმართ თანაბრად.
დ. არა, რადგან ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისადმი ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს.

3. შპს „განთიადმა“ ცნობილ მხატვარ მ. შონიას შეუკვეთა ნახატის „კავკასიონის მთების“ შექმნა. ნახატის დასრულებამდე მხატვარი გარდაიცვალა. საზოგადოებამ ვალდებულების შესრულება მოსთხოვა შონიას ვაჟს, ასევე მხატვარს ე. შონიას. კანონიერია თუ არა საზოგადოების მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან მემკვიდრემ მამკვიდრებლის ვალდებულება კრედიტორის წინაშე მთლიანად უნდა შეასრულოს.
ბ. დიახ, რადგან მემკვიდრეს თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე შეუძლია შეასრულოს მამკვიდრებლის ვალდებულება.
გ. არა, რადგან მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე.
დ. არა, რადგან მემკვიდრეს ყოველთვის შეუძლია უარი თქვას მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულებაზე.

4. ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას კრედიტორის ადგილსამყოფელი უცნობი იყო და მოვალემ მოახდინა შესრულების საგნის დეპონირება ნოტარიატში. სამი წლის განმავლობაში კრედიტორმა საგანი არ მიიღო. მოვალემ მოითხოვა ნივთის მასზედ გადაცემა, რაზეც უარით უპასუხეს. კანონიერია თუ არა მოვალის მოთხოვნა?

ა. არა, რადგან დეპონირებული ქონება სამი წლის შემდეგ ითვლება სახელმწიფო ქონებად.
ბ. არა, რადგან სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს 5 წლამდე ვადით და ამ ვადის გასვლამდე მოვალეს უფლება არა აქვს გამოითხოვოს ნივთი.
გ. დიახ, რადგან თუ სამი წლის განმავლობაში დეპონირებულ შესრულების საგანს კრედიტორი არ მიიღებს, მოვალეს უფლება აქვს საგანი უკან დააბრუნოს.
დ. დიახ, რადგან მოვალეს ყოველთვის შეუძლია დეპონირებული საგნის უკან გამოთხოვა.

5. ბერიძემ ფირმა „სტილს“ შეუკვეთა წაბლის ხის 12 სკამი და მაგიდა. დაკვეთა თავისი მასალით შეასრულა ფირმის მიერ სპეციალურად მოწვეულმა ლომინაძემ. რადგან შესრულებული ნაწარმი საკმაოდ უხარისხო გამოდგა, შემკვეთმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, რაზედაც ფირმა „სტილმა“ უარი განაცხადა.
კანონიერია თუ არა „სტილის“ უარი?

ა. დიახ, რადგან მოვალე იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, პასუხს არ აგებს.
ბ. დიახ, რადგან დაკვეთა შეასრულა სპეციალურად ამ საქმისათვის მოწვეულმა კალანდაძემ.
გ. არა, რადგან ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული შეკვეთის მესამე პირის მიერ შესრულება.
დ. არა, რადგან მოვალემ იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

6. მოვალემ ვალდებულება ვერ შეასრულა იმის გამო, რომ ნორმატიული აქტის საფუძველზე, ხანგრძლივი ვადით აიკრძალა ექსპორტი. კრედიტორმა აღნიშნული მიიჩნია სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევად და მოვალისაგან, როგორც ვადის გადამცილებლისგან, მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. კანონიერია თუ არა კრედიტორის მოთხოვნა?

ა. არის, ვინაიდან მოვალემ ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება.
ბ. არის, ვინაიდან მოვალე, ბრალის მიუხედავად, პასუხისმგებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევისათვის.
გ. არ არის, ვინაიდან ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.
დ. არ არის, ვინაიდან ზიანის ანაზრაურება ევალება ნორმატიული აქტის მიმღებს.

7. რომელი გარემოება იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას?

ა. მოთხოვნის აღიარება.
ბ. სარჩელის შეტანა.
გ. ვალდებული პირის მიერ ავანსის გადახდა.
დ. მორატორიუმი.

8. დაუძლეველი ძალის გამო, კრედიტორმა ვერ შეძლო მოვალესთან დანიშნულების ადგილზე მისვლა და გადააცილა მოვალისაგან ფულის მიღების ვადას. იმის გამო, რომ კრედიტორის ბრალი გამოირიცხა, ამ უკანასკნელმა მოვალისაგან მოითხოვა ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღება. რაზედაც მოვალემ უარი განაცხადა. კანონიერია თუ არა მოვალის უარი?

ა. არის, ვინაიდან მოვალე არ არის ვალდებული გადაიხადოს, ბრალის მიუხედავად, ფულადი ვალდებულების პროცენტი.
ბ. არის, ვინაიდან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად, კრედიტორს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს ფულადი ვალდებულებისთვის პროცენტის მიღება.
გ. არ არის, ვინაიდან შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას კრედიტორის ბრალი გამოირიცხა.
დ. არ არის, ვინაიდან მოვალის მხრიდან ადგილი ჰქონდა კრედიტორის კუთვნილი ფულით სარგებლობას.

9. აბაშიძემ თბილისის ერთ-ერთ მარკეტში მოინდომა დაბადების დღისთვის 20 ბოთლი წითელი ღვინის შეძენა, მაგრამ უარი მიიღო. მარკეტის ხელმძღვანელობამ უარი იმით დაასაბუთა, რომ მყიდველი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო სავაჭრო ობიექტი ემსახურება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.
კანონიერია თუ არა მარკეტის ხელმძღვანელობის უარი?

ა. დიახ, რადგან მარკეტი გათვალისწინებული იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მომსახურებისათვის
ბ. დიახ, რადგან მყიდველი მოქმედებდა თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და უფლება აქვს თავისუფლად შეარჩიოს კონტრაჰენტი
გ. არა, რადგან თუ ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მას უფლება არა აქვს დაუსაბუთებლად უთხრას უარი ხელშეკრულების დადებაზე პირს, რომელიც არასამეწარმეო მიზნისთვის იძენს ქონებას.
დ. არა, რადგან თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება

10. ძმებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ერთი ძმა კისრულობდა ვალდებულებას, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ, მამის ქონებიდან მემკვიდრეობით მიღებულ წილს მიჰყიდიდა მეორე ძმას. დამ დააყენა ძმებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. კანონიერია თუ არა დის მოთხოვნა?

ა. არის, ვინაიდან ძმებს არ ჰქონდათ აღნიშნული ხელშეკრულების დადების უფლება.
ბ. არის, ვინაიდან ძმებს შორის მამის სამკვიდრო ქონებაზე ხელშეკრულების დადებისას საჭირო იყო სხვა მემკვიდრეთა თანხმობაც.
გ. არ არის, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას დის თანხმობა არ არის საჭირო.
დ. არ არის, ვინაიდან მომავალ კანონით მემკვიდრეებს უფლება აქვთ, დადონ ერთმანეთს შორის გარიგება, ერთ-ერთი მათგანის სამემკვიდრეო წილის თაობაზე.

სწორი პასუხები:

დავალება №	სწორი პასუხი
1	გ
2	დ
3	გ
4	გ
5	დ
6	გ
7	დ
8	ბ
9	გ
10	დ

B) ტესტირებისთვის მოსამზადებლად, რეკომენდირებული ლიტერატურისა და საკითხების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ:

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი. შესავალი დებულებანი. გარიგებანი. ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა. გარიგების ფორმა. მოტყუებით დადებული გარიგებანი. იძულებით დადებული გარიგებანი. თანხმობა გარიგებებში. წარმომადგენლობა გარიგებებში. უფლების განხორციელება. ვადები. ვადების გამოთვლა. ხანდაზმულობა. სანივთო (ქონებრივი) სამართალი. ვალდებულებითი სამართალი. ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ. სახელშეკრულებო სამართალი. ნასყიდობა. გაცვლა. ნასყიდობა გადახდის განვადებით. გამოსყიდვა. უპირატესი შესყიდვის უფლება. ჩუქება. ქირავნობა. ლიზინგი. იჯარა. სესხი. ნარდობა. ტურისტული მომსახურება. დავალება. დაზღვევა. ზოგადი დებულებანი. სადაზღვევო შესატანი. ზიანის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევა. უბედური შემთხვევის დაზღვევა. საბანკო მომსახურება. ანგარიშსწორება. საბანკო კრედიტი. ანაბარი. საბანკო გარანტია. თავდებობა. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა). სამისდღეშიო რჩენა. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი. საზიარო უფლებები. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. უსაფუძვლო გამდიდრება. დელიქტური ვალდებულებანი. პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. საოჯახო სამართალი. დაქორწინების წესი და პირობები. ქორწინების შეწყვეტა. ქორწინების ბათილობა. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები. მემკვიდრეობის სამართალი. მემკვიდრეობა კანონით. მემკვიდრეობა ანდერძით. ანდერძის ფორმა. სავალდებულო წილი. ანდერძის შეცვლა ან მოშლა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი. უწყებრივი ქვემდებარეობა. განსჯადობა. სასამართლოს შემადგენლობა. აცილება. პროცესის ხარჯები. საპროცესო უზრუნველყოფა. საპროცესო ვადები. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საპროცესო თანამონაწილეობა. მესამე პირები. წარმომადგენლობა სასამართლოში. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. მხარეთა ახსნა-განმარტება. წერილობითი მტკიცებულება. მოწმეთა ჩვენება. ნივთიერი მტკიცებულება. ექსპერტის დასკვნა. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით. სასამართლო მედიაცია. შეგებებული სარჩელი. სარჩელის უზრუნველყოფა. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. სასამართლოს მთავარი სხდომა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. საქმის წარმოების შეჩერება. სასამართლო განჩინება. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. უდავო წარმოება. ზოგადი დებულებანი. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების

დადგენა. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა. აპელაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კასაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძო საჩივრის დასაშვებობა და განხილვის წესი. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი.

ლიტერატურა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., 2017, http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბ., 2018. http://lawlibrary.info/ge/books/giz2018-ge-civil_code_comm_II_book.pdf
- თ. ზარანდია, სანივთო სამართალი, თბ., 2019.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2019. http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-gecivil_code_comm_III_book.pdf
- ავტორთა ჯგუფი, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014. http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი), ელ.ვერსია: www.gccc.ge
- მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2018.
- რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2019.
- ზ. ძლიერიშვილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ; 2012.
- შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015.